

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანა განპირობებულია სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მეწარმეობის განვითარების სააგენტოსგან მიღებული თანადაფინანსების სახსრები, იმ მეწარმე სუბიექტთა ჯგუფებისათვის, რომლებსაც შექმნილი აქვთ ამხანაგობები, დღეს მოქმედი კანონმდებლობით ჩაეთვლება ერთობლივ შემოსავალში და იბეგრება არსებული წესით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამით თანხების გაცემა მიკრო და მცირე მეწარმეებზე გათვალისწინებული იყო გრანტის სახით. ცვლილება განპირობებულია იმით, რომ პროგრამაში მონაწილე ამხანაგობების მიერ მიღებული თანადაფინანსების თანხები არ იქნას შეტანილი მათ ერთობლივ შემოსავალში და შესაბამისად არ მოხდეს სახელმწიფოს მიერ მათზე გადაცემული თანადაფინანსების თანხების დაბეგვრა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების ეფექტურად გამოყენებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

ცვლილების მიზანია პირის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მეწარმეობის განვითარების სააგენტოსგან, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მიღებული სახსრები არ ჩაითვალოს ერთობლივ შემოსავალში და შესაბამისად არ მოხდეს ბენეფიციარისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხების დაბეგვრა 20%-ით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის წარმატებულ და ეფექტურ განხორციელებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად, ერთობლივ შემოსავლად არ ჩაითვლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ „აწარმოე

საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მეწარმე სუბიექტებზე 2017 წლის 1 იანვრამდე გაცემული თანადაფინანსების სახსრები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ინიცირებული ცვლილება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით გასაცემი თანადაფინანსების თანხები პროგრამის ბენეფიციარებზე გაიცემა გრანტის სახით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი ფინანსური თვალსაზრისით წაახალისებს, იმ პირებს, რომლებიც ისარგებლებენ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილების მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით, თუმცა კონკრეტული ფინანსური შედეგების დათვლა, ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქრთველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საქრთველოს ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქრთველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი: რომან კაკულია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი: რომან კაკულია